



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N16

2014 წლის 28 მარტი

ქ. დუშეთი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „უფასო სასაბუღალტრო მზრუნველობამოკლებულთათვის“ ბენეფიციართა სიის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 3 ივლისის N42 განკარგულებით დამტკიცებულ N1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „უფასო სასაბუღალტრო მზრუნველობამოკლებულთათვის“ ბენეფიციართა სიის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 3 ივლისის N42 განკარგულებით დამტკიცებულ N1 დანართში. კერძოდ: ბენეფიციართა სიიდან, გარდაცვლილი ბენეფიციარის - მარიამ ახალაშვილის ნაცვლად, შეყვანილი იქნეს ქალაქ დუშეთში მცხოვრები, უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქე მაკა ბასილაშვილი.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

 ცარო სამაგლიშვილი



ბ) ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს სპორტული ღონისძიების დამთავრებიდან 5 სამუშაო დღით.

### მუხლი 3. წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისება

წარმატებული სპორტსმენებისთვის და მწვრთნელებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს წახალისება პრემიის სახით.

### მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დადგენილი წესი სავალდებულოა შესასრულებლად ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისათვის“.

2. წინამდებარე წესში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.